

ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო
კომისიის სხდომის

ოქმი N 7

ქ.ვანი თავისუფლების N65

20 ივნისი 2019 წელი

12:00 საათი

სხდომას ესწრებოდნენ კომისიის წევრები: ტარიელ ბარამიძე, მალხაზ ცერცვაძე, შოთა გიორგაძე, ივანე კორძაძე, მერაბ ხურციძე, გია ხარაბაძე, თამთა დვალიშვილი, გელა ვარდოსანიძე.

საპატიო მიზეზის გამო სხდომას არ ესწრებოდნენ: გელა ჩიკვაძე, თორნიკე ერისთავი, დავით კაკაბაძე, კობა ძაგნიძე, გია ოჩხიკიძე.

სხდომაზე დამსწრე კომისიის წევრთა ხელმოწერების სია თან ერთვის.

/დანართი N1/

მოწვეული პირები:

ეკონომიკისა და მუნიციპალური ქონების მართვის სამსახურის უფროსი - ზვიად კაპანაძე.

კომისიის სხდომის თავმჯდომარე - ტარიელ ბარამიძე (კომისიის თავმჯდომარე)

კომისიის სხდომის მდივანი - საკრებულოს აპარატის იურიდიულ და საორგანიზაციო საკითხთა განყოფილების უფროსი სპეციალისტი საოქმო წარმოების საკითხებში - **ლუბა კიკაბიძე**.

დღის წესრიგი

1. ვანის მუნიციპალიტეტის ეკონომიკისა და მუნიციპალური ქონების მართვის სამსახურის ინფორმაციის მოსმენა 2019 წელში გაწეული მუშაობის შესახებ.

მომხს; ზვიად კაპანაძე

დაადგინეს: დღის წესრიგი მიღებულ იქნა წარმოდგენილი სახით.

მოისმინეს :

დღის წესრიგით წარმოდგენილ პირველ საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა ზვიად კაპანაძემ კომისიის წევრებს გააცნო 2019 წლის ინფორმაცია გაწეული შესრულებული სამუშაოების შესახებ იანვრიდან დღევანდელი დღის მდგომარეობით.

მომხსენებელმა განმარტა, რომ ძირითადად საკითხი ეხება ქონების მართვის ობიექტებიდან პრივატიზებით შემოსულ თანხებს და მიმდინარე აუქციონში პრივატიზების და იჯარით გატანილ ქონების ჩამონათვალს.

გაყიდული;

მუხლუხო ტრაქტორი 4400- ლარი.

პოლიციის დემონტაჟი 1050 ლარი

სულორის ყოფილი მეურნეობის შენობა 2100 ლარი შემოსატანი 2000 ლარი.

თავისუფლების 967 კვ/მ 31000 ლარი

უხუთი სასოფლო სამეურნეო 343 კვ/მ 320 ლარი, 220 ლარი არის შემოსატანი B სახით წინასწარ, დანარჩენ თანხას შემოიტანს აუქციონის გამარჯვების შემდეგ.

გადიდი სასოფლო სამეურნეო 3500 კვ/მ 1300 ლარი, 800 ლარი არის შემოსატანი B სახით წინასწარ, დანარჩენ თანხას შემოიტანს აუქციონის გამარჯვების შემდეგ.

ზედა ვანი სასოფლო სამეურნეო 2250 კვ/მ 1000 ლარი.

სრული ჩამონათვალი დანართის სახით ოქმს თან ერთვის.

კომისიის წევრებმა მოიწონეს მომხსენებლის მიერ მოწოდებული ინფორმაცია რომლის მიმართ შენიშვნები არ დაფიქსირებულა.

დაადგინეს:

კომისიის წევრებმა მოიწონეს ვანის მუნიციპალიტეტის ეკონომიკისა და მუნიციპალური ქონების მართვის სამსახურის ინფორმაციის მოსმენა 2019 წელში გაწეული მუშაობის შესახებ.

/დანართი N 2/

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხის ამოწურვის შემდეგ სხდომის თავმჯდომარემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

ტარიელ ბარამიძე

ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე